შპს ბილჯ ვოტერ

საქართველო, 0162 თბილისი, ირაკლი აბაშიძის ქ. № 70
ბინა № 86, ტელ.: 995 599381000

ელ. ფოსტა: bilgewater.ge@yahoo.com

BILGE WATER

LLC BILGE WATER

86 App. 70 Irakli Abashidze St. Tbilisi 0162, Georgia 2
mob.: 995 599381000

e-mail: bilgewater.ge@yahoo.com

№ 170

17 ივლისი 2020 წელი

საქართველოს გარემოს დაცვისა და
სოფლის მეურნეობის მინისტრს
ბატონ ლევან დავითაშვილს

ბატონო ლევან,

როგორც თქვენთვის ცნობილია, შპს „ბილჯ ვოტერ"-ის სახელზე 2013 წლის 29 ნოემბრის N0-321 ბრძანებით გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს მიერ შპს „ბილჯ ვოტერ"-ზე გაცემულია №62 ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნა (სახიფათო ნარჩენების (ლიალური წყლების უტილიზაცია გადამუშავება)).

ამასთან, საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს 2017 წლის 31 ივლისის N0-573 ბრძანებით დამტკიცებულია მიმდინარე საქმიანობის გაგრძელების შესახებ N7 გადაწყვეტილება „ხობის მუნიციპალიტეტის ჭალადიდის თემის სოფ. საბაჟოში შპს „ბილჯ ვოტერ"-ის სახიფათო ნარჩენების (ლიალური და ნავთობის ნახშირწყალბადებით დაბინძურებული წყლების განთავსება) განთავსების საწარმოს მიმდინარე საქმიანობის გაგრძელებს შესახებ".

საქართველოს კანონის „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის" 47-ე მუხლის მე-15 პუნქტის შესაბამისად: „საქმიანობის განმახორციელებლის მიერ მიმდინარე საქმიანობის გაგრძელების შესახებ გადაწყვეტილებით განსაზღვრული პირობების შესაბამისი გეგმა-გრაფიკით დადგენილ ვადებში სრულად შესრულების შემთხვევაში იგი უფლებამოსილია მიმართოს სამინისტროს გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების მისაღებად".

გაცნობებთ რომ გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს 2019 წლის 22 აგვისტოს N8392/01 წერილის შესაბამისად სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება - გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის მიერ 2019 წლის 18 ივლისს განხორციელდა ხობის მუნიციპალიტეტის ჭალადიდის თემის სოფ. საბაჟოში შპს „ბილჯ ვოტერ"-ის სახიფათო ნარჩენების (ლიალური და ნავთობის ნახშირწყალბადებით დაბიძურებული წყლების განთვასება) განთავსების საწარმოს მიმდინარე საქმიანობის გაგრძელების შესახებ საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს 2017 წლის 31 ივლისის N0-573 ბრძანებით დამტკიცებული N7 გადაწყვეტილების მიხედვით დადგენილი პირობების გეგმა-გრაფიკის შესრულების მდგომარეობის შესწავლა/დათვალიერება. აღნიშნული წერილის მიხედვით განხორციელებული ინსპექტირების შედეგად გადაწყვეტილებით დადგენილი პირობების გეგმა-გრაფიკით გათვალისწინებული ვალდებულებების დარღვევა არ გამოვლენილა.

№ 11050
"17" 07 2020

ყოველივე აღნიშნულის გათვალისწინებით, საქართველოს კანონის „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ მოთხოვნების საფუძველზე წარმოგიდგენთ შპს „ბილჯ ვოტერ"-ის ლიალური და ნავთობის ნახშირწყალბადებით დაბინძურებული წყლების განთავსების საწარმოს მიმდინარე საქმიანობის გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშს და გთხოვთ კანონით გათვალისწინებული პროცედურების შესაბამისად გასცეთ გარემოსდაცვითი გადაწყვეტილება.

წინამდებარე განცხადებას თან ერთვის საქართველოს კანონის „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსით“ და საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის 2018 წლის 11 ოქტომბრის „ეკოლოგიური აუდიტის ანგარიშის შედგენისა და მიმდინარე საქმიანობის გაგრძელების შესახებ გადაწყვეტილების მიღების წესების დამტკიცების თაობაზე“ №2-827 ბრძანებით გათვალისწინებული საჭირო დოკუმენტაცია.

დანართი:

1. შპს „ბილჯ ვოტერ"-ის ლიალური და ნავთობის ნახშირწყალბადებით დაბინძურებული წყლების განთავსების საწარმოს მიმდინარე საქმიანობის გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიში - 2 ეგზემპლარი ნაბეჭდი და ელ. ვერსია (1 CD);

2. ხობის მუნიციპალიტეტის ჭალადიდის თემის სოფ. საბაჟოში შპს „ბილჯ ვოტერ“-ის სახიფათო ნარჩენების (ლიალური და ნავთობის ნახშირწყალბადებით დაბინძურებული წყლების განთავსება) განთავსების საწარმოს ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებათა ზღვრულად დასაშვები გაფრქვევის ნორმების პროექტი - 4 ეგზემპლარი ნაბეჭდი და ელ. ვერსია (1 CD);

3. საქმიანობის განხორციელების ადგილის GIS (გეოინფორმაციული სისტემები) კოორდინატების მითითებით (shp-ფაილთან ერთად);

4. საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი გზშ-ის მოსაკრებლის გადახდის დამადასტურებელი ქვითარი;

პატივისცემით,

შპს „ბილჯ ვოტერ“-ის დირექტორი

დავით ჩიქოვანი